

დამტკიცებულია  
უნივერსიტეტის პრეზიდენტის  
N07/01-19 ბრძანებით  
02.09.2020



## კავკასიის უნივერსიტეტი

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19)  
დაკავშირებით დაავადებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა

## 1. გეგმის მიზანი

კავკასიის უნივერსიტეტმა (შემდგომში - უნივერსიტეტი) შეიმუშავა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებით მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა, რომლის მიზანია ვირუსული ინფექციის პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა და მათი ეფექტური განხორციელება. აღნიშნული გეგმა სრულად ითვალისწინებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს.

## 2. პრევენციული ღონისძიებები სამუშაოს დაწყებამდე, ტერიტორიაზე დაშვებისას

- 2.1. უნივერსიტეტში დასაქმებულები, სტუდენტები, ვიზიტორები არ უნდა გამოცხადდნენ სამუშაო ადგილას თუ:
  - ა) მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო ორი კვირის განმავლობაში;
  - ბ) მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ ვირუსის მატარებელ პირთან/პირებთან.
- 2.2. სამუშაო სპეციფიკისა და ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში არ დაიშვებიან დასაქმებულები, სტუდენტები და ვიზიტორები თუ აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუთქვის გამწვანება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- 2.3. დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს არ გამოცხადდეს უნივერსიტეტში თუ იგი მიეკუთვნება ვირუსული ინფექციის გართულებების მაღალი რისკის მქონეს (ასაკი, ქრონიკული დაავადებები (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) და სხვა). ასეთ შემთხვევაში შესაბამის განცხადებას (საჭროების შემთხვევაში სამედიცინო ცნობასთან ერთად) წარადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში.
- 2.4. დასაქმებულები სამუშაოზე დაშვებისათვის ავსებენ სპეციალური ონლაინ-კითხვარს (დანართი N1).
- 2.5. უნივერსიტეტში დასაქმებულები, სტუდენტები და ვიზიტორები არ დაიშვებიან პირბადის გარეშე.
- 2.6. უნივერსიტეტში დასაქმებულთა, სტუდენტთა და ვიზიტორთა თერმოსკრინინგს ახორციელებს უსაფრთხოების (დაცვის) სამსახურის თანამშრომლები.
- 2.7. დაცვის თანამშრომელი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია გამოიყენოს ხელთათმანები, ეკეთოს პირბადე და იცავდეს 1 მეტრიან დისტანციას;
- 2.8. თანამშრომელი, რომელსაც აღენიშნება მაღალი ტემპერატურა ( $37^{\circ}$  ან  $37^{\circ}$ -ზე მეტი), არ დაიშვება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ხდება ფაქტის აღრიცხვა შესაბამის ჟურნალში.
- 2.9. პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში. ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- 2.10. დაწესებულებაში ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისთვის პირის დაყოვნება მოხდება სპეციალური საიზოლაციო ოთახი, სასწრაფო დახმარების მოსვლამდე.

## 3. პრევენციული ღონისძიებები სამუშაო/სასწავლო სივრცეში

- 3.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ვირუსის გავრცელების შემდეგ პრევენციულ ღონისძიებებს:
  - ა) სამუშაო ადგილებზე ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;

- ბ) ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა დასაქმებულთა და სტუდენტებისათვის;
- გ) სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხის გამოყენება;
- დ) თანამშრომელთა წახალისება, რათა დარჩენენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;
- ე) რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;
- ვ) ერთჯერადი ხელსახოცებით და სხვა პირადი დაცვის საშუალებებით სამუშაო ადგილების მომარაგება;
- ზ) ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- თ) დასაქმებულისათვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაავადებული თანამშრომლების სახლში დარჩენა, როტაციული გრაფიკის შემუშავება ან/და სამუშაოს დისტანციურად შესრულება.

- 3.2. უნივერსიტეტი დასაქმებულებს უტარებს ონლაინ ტრენინგებს ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ და ვირუსული ინფექციის გამოვლენის შემდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
- 3.3. უნივერსიტეტის შესასვლელებში განთავსდება დეზობარიერები, შესაბამისი ნიშნის მითითებით;
- 3.4. თვალსაჩინო ადგილას განთავსდება ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.
- 3.5. სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილია გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკის ამოღება მოხდება ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება ასეთი ნარჩენების დროული გატანა;
- 3.6. პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილი იქნება ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალე ერთჯერადი ხელსახოცები).
- 3.7. სამუშაო ადგილებზე განთავსდება ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები.
- 3.8. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია. აუდიტორიებში მოხდება ინტენსიური ბუნებრივი ვენტილაცია.
- 3.9. მოხდება სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით).
- 3.10. უზრუნველყოფილი იქნება საერთო სივრცეებისა და სანიტარული წერტილების პერიოდული დეზინფექცია.

#### 4. სასწავლო პროცესი

- 4.1. სტუდენტებისა და ლექტორების მიღება უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი იქნება წინასწარ განსაზღვრული ცხრილის მიხედვით.
- 4.2. მოხდება 1 მეტრიანი დისტანციის დაცვის კონტროლი.
- 4.3. უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტთა განთავსება სასწავლო მაგიდებთან იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ.
- 4.4. ლექტორებისა და სტუდენტთა დაშვება უნივერსიტეტში მოხდება მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - ნიღბებით. ლექტორს უფლება ექნება მეცადინეობები პირბადის გარეშე ჩატაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 2 მეტრიანი

დისტანცია მას და სტუდენტებს შორის. საილუსტრაციოდ სათანადო სტიკერით იქნება მონიშნული დისტანციის განმსაზღვრელი ადგილი.

- 4.5. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესების და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილების შემთხვევაში, უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი (გარდა გარკვეული პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობისა და გამოცდებისა) გაგრძელდება დისტანციურ რეჟიმში. პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობებისა და გამოცდების ჩატარება ადგილზე მოხდება შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ნებართვის შემთხვევაში.
- 4.6. პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობებისა და გამოცდების ორგანიზებისათვის, ასევე სათანადო უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის (რაც დისტანციურ რეჟიმში ვერ ხერხდება), აუცილებელ პოზიციებზე დასაქმებულთა მუშაობა გაგძლედება არადისტანციურად (ადგილზე), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

## 5. საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებები

- 5.1. გამოცდების დროს სტუდენტების გამოცხადებიან წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით.
- 5.2. მაგიდებს განლაგდება მინიმუმ 2მ. დისტანციით.
- 5.3. საგამოცდო სივრცეში სტუდენტები, ლექტორები და დამკვირვებლები არ დაიშვებიან ნიღბების გარეშე;
- 5.4. სტუდენტები მაგიდებთან არ განთვსდებიან ერთმანეთის პირისპირ.
- 5.5. ყოველი ცვლის შემდგომ გამოყენებულ იქნება სანიტარული შესვენება.
- 5.6. ყოველი ცვლის შემდგომ მოხდება მაგიდებისა და ხშირად შეხებადი სხვა ზედაპირების სადეზინფექციო დამუშავება.
- 5.7. საგამოცდო სივრცეების შეასასვლელებში მოხდება ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ან სხვა ანალოგიური ეფექტის მქონე ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება.
- 5.8. უზრუნველყოფილი იქნება გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი.
- 5.9. სტუდენტებს ელექტრონულად ეცნობებათ, ასევე თვალსაჩინო ადგილას განთვსდება სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნებთან დაკავშირებული მათი ვალდებულებების შესახებ.

## 6. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ღონისძიებები

- 6.1. ბიბლიოთეკაში სტუდენტების, პედაგოგების, ვიზიტორების განთავსება მაგიდებთან მოხდება წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ);
- 6.2. ბიბლიოთეკაში აკრძალულია ჯგუფური მუშაობა;
- 6.3. უზრუნველყოფილი იქნება კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
- 6.4. ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დაამუშავდება სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;
- 6.5. ბიბლიოთეკის შესასვლელში უზრუნველყოფილი იქნება ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხსნარისა და გამოყენების წესების განთავსება (დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);

- 6.6. გამოყავილი იქნება პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს რეკომენდაციების დაცვას სამკლითხველო დარბაზში.
- 6.7. საბიბლიოთეკო დოკუმენტები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და ა.შ) გაცემამდე ითვლება ე.წ. „პირობითად სუფთა წიგნებად“. წიგნები/დოკუმენტები, რომლებიც მომხმარებლებისგან/მკითხველებისგან ბრუნდება ითვლება „პირობითად ინფიცირებულ წიგნებად“. გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული წიგნები/დოკუმენტები განთავსდება კარანტინში (სპეციალურად გამოყოფილ თაროებზე) 5 დღის განმავლობაში.

## 7. მოქმედებები COVID-19 სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში

- 7.1. პირი, რომელსაც შემოწმებისას აქვს მაღალი ტემპერატურა ( $37^{\circ}$  ან  $37^{\circ}$ -ზე მეტი) და აღენიშნება შემდეგი სიმპტომები: ხველა, ცემინება, სუთქვის გამწვანება, ცხელება, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე, არ დაიშვება ტერიტორიაზე, აღირიცხება სათანადო ჟურნალში, 7.2 პუნქტის შესაბამისად განხორციელდება მისი იზოლაცია და 112-ზე დაკავშირებით მოხდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ინფორმირება.
- 7.2. მაღალი ტემპერატურის და საეჭვო სიმპტომების არსებობისას, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მითითებების შესაბამისად, სტუდენტის/დასაქმებულის განთავსება მოხდება ყველასგან იზოლირებულ სპეციალურ ოთახში, რომელიც უნივერსიტეტის შესასვლელიდან ყველაზე ახლოს მდებარეობს და ამასთანავე ეს ოთახი არ მდებარეობს საგამოცდო და სამუშაო სივრცეებთან ახლოს. სპეციალურ იზოლაციის ოთახში მოთავსებაზე საეჭვო სიმპტომების მქონე პირის მიერ უარის თქმის (დაუმორჩილებლობის) შემთხვევაში აღნიშნული ეცნობება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.
- 7.3. ვირუსული ინფექციის COVID-19 დადასტურების შემთხვევაში დაავადებულ პირთან კონტაქტში მყოფი პირები (პერსონალი, სტუდენტები) არ იქნებიან დაშვებული უნივერსიტეტში, ასევე საჭიროების შემთხვევაში სამუშაო პროცესი მთლიანად ან ნაწილობრივ (შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მითითებების შესაბამისად) გაგრძელდება დისტანციურ რეჟიმში.
- 7.4. უნივერსიტეტში ჩატარდება სადებიზინფექციო სამუშაოები სათანადო ხსნარებით.
- 7.5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელებას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მითითებებისა და რეკომენდაციები შესაბამისად.

ორგანიზაციის თანამშრომელთა მიერ  
სამუშაოზე დაშვებამდე შესავსები  
კითხვარი

ლოკაცია	ორგანიზაციი დასახელება	თარიღი

სახელი და გვარი	პირადი ნომერი	საკონტაქტო ნომერი
სამუშაო პოზიცია	ჩაწერის ადგილი	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი

იმყოფებოდით თუ არა ბოლო 14 დღის განმავლობაში საზღვარგარეთ?	კი	არა
<i>დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ ადგილი სადაც იმყოფებოდით</i>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გქონდათ თუ არა კონტაქტი 14 დღის განმავლობაში საზღვარგარეთ მყოფ პირთან?	კი	არა
<i>დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ აღნიშნული პირები და ადგილი</i>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
სამსახურში/სამუშაო ტერიტორიაზე გამოცხადებამდე, ხომ არ მიგიღიათ გაციების საწინააღმდეგო ან/და სიცხის დამწევი პრეპარატი (წამალი) ?	კი	არა
<i>კომენტარი</i>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

გქონდათ თუ არა კონტაქტი 14 დღის განმავლობაში საკარანტინო სივრცეში/თვითიზოლაციაში მყოფ პირთან	კი	არა
დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ აღნიშნული პირები და ადგილი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

გაწუხებთ თუ არა ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელიმე	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
ხველა <input type="checkbox"/> სურდო <input type="checkbox"/> მაღალი ტემპერატურა <input type="checkbox"/> სუნთქვის გაძნელება <input type="checkbox"/>		
გაწუხებდათ თუ არა ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელიმე გასული 14 დღის განმავლობაში	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
ხველა <input type="checkbox"/> სურდო <input type="checkbox"/> მაღალი ტემპერატურა <input type="checkbox"/> სუნთქვის გაძნელება <input type="checkbox"/>		
გაწუხებთ თუ არა რომელიმე ქრონიკული დაავადება (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები)	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
ხართ თუ არა ინფორმირებული/ ჩაგიტარდათ თუ არა ინსტრუქტაჟი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების წესების დაცვასთან დაკავშირებით	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
ხართ თუ არა ინფორმირებული თუ რა მკაცრი ზომების მიღებას გამოიწვევს სამუშაო ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული სიმპტომების (ხველა, სურდო, ცხელება/მაღალი ტემპერატურა, სუნთქვის გაძნელება) დამალვით/მენეჯმენტისთვის შეუტყობინებლობით სამსახურში გამოცხადება	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>